ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5978186

ნომერი: AR1902373

თარიღი : 01.06.2022

გაცემის თარიღი : 15.06.2022

გაცნობის თარიღი : 15.06.2022

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, პოლიკარპე კაკაბაძის ქუჩა, N 2;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ნინო ნორაკიძე პ/ნ 42001031344
- ქ.თბილისი, ფალიაშვილის ქ N108

ნომენკლატურა :

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- IV კლასი
- ვადაგაუსვლელი
- მშენებლობის ნებართვა

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ქეთევან მამათელაშვილი

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს კერა დეველოპმენტი
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 404913974
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: დიმიტრი ადამია
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01024028596

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : № 5578127
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 9.01.2021

ქ.თბილისის მერიის სსიპ - ქ.თბილისის არქიტექტურის სამსახურის კორექტირებული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ 2021 წლის 01 სექტემბრის № 5578127 ბრძანებასა და მშენებლობის სანებართვო მოწმობაში მშენებლობის დასრულების თარიღში ცვლილების შეტანის შესახებ.

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2021 წლის 01 სექტემბრის № 5578127 ბრძანებით, შეთანხმდა ქ. თბილისში (სექტორი - მთაწმინდა) პოლიკარპე კაკაბაძის ქ. N2-ში (ს/კ № 01.15.06.001.008) საერთო საკუთრების მიწის ნაკვეთზე, 2021 წლის 30 აპრილის №5392882 ბრძანებით შეთანხმებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე გაიცა „ბ“ ბლოკის მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2021 წლის 01 სექტემბრიდან 2022 წლის 01 ივლისის ჩათვლით.

2022 წლის 01 ივნისის AR1902373 განცხადებით სამსახურს მომართა მოქ. ნინო ნორაკიძემ და მოითხოვა მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელების მიზნით 2021 წლის 01 სექტემბრის № 5578127 ბრძანებაში მშენებლობის დასრულების თარიღში ცვლილებების განხორციელება.

სამსახურმა განაცხადის განხილვის შედეგად გადაწყვიტა, რომ მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 01 სექტემბრის № 5578127 ბრძანებასა და სანებართვო მოწმობაში, კერძოდ: „მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2021 წლის 01 სექტემბრიდან 2022 წლის 01 ივლისის ჩათვლით;" შეიცვალოს ,,ნებართვა ძალაშია 2022 წლის 15 ივნისიდან 2023 წლის 15 მაისის ჩათვლით''
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მერიის სსიპ ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 01 სექტემბრის № 5578127 ბრძანებასთან ერთად;

- აღნიშნულის შესახებ დადგენილი წესით ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.